ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №10

ქ. ახმეტა

23 მარტი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: თ.წითელაური, რ.ბაღაკაშვილი, გ.მაისურაძე დ.მურთაზაშვილი, გ.ქიტესაშვილი,ი.უჯირაული მ.ალხანაშვილი, ზ.გარსევანიძე,თ.ბოდაველი

სხდომა გაიხსნა $11^{00}$ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვადამდე უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის მამუკა ხოლეგაშვილის, ადგილმონაცვლის, დავით მებისაშვილის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ ბოდაველი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ ბოდაველი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვადამდე უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის მამუკა ხოლეგაშვილის ადგილმონაცვლის, დავით ძებისაშვილის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ;

**მომხსენებელმა ბიუროს დამსწრე წევრებს გააცნო ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიის** წერილი: საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 154-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მამუკა ხოლეგაშვილის ადგილმონაცვლედ შემოდის პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი დავით ძებისაშვილი.

წერილს თან ერთვის შესაბამისი განკარგულება.

ინფორმაცია ბიუროს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

<u>მოისმინეს</u>: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:** თამარ ყეინიშვილს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის საფუძველზე, შესაბამისად შეუწყდა საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

საკრებულოს ბიურომ ცნობად მიიღო ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საკითხი;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს. ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურს" გადაეცემა შემდეგი ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებები:

ა) „მერსედეს ბენცი", მოდელი AXOR 1824, სარეგისტრაციონომერი OQ47000

გამოშვების წელი 2016, ფერი მწვანე, ტიპი „სპეციალიზებული"

ბ) „მერსედეს ბენცი", მოდელი ATEGO 1318, სარეგისტრაციონომერი OQ46900

გამოშვების წელი 2016, ფერი მწვანე, ტიპი „სპეციალიზებული"

გ) „მერსედეს ბენცი", მოდელი ATEGO 1018, სარეგისტრაციონომერი OQ47100

გამოშვების წელი 2016, ფერი მწვანე, ტიპი „სპეციალიზებული"

საკითხის ირგვლივ კითხვები და შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

**დღის წესრიგის საკითხები:** ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ შეტანილი იქნა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა $11^{45}$ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი